ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
გენდერული თანასწორობის საბჭო

ოქმი:**ო47.47222632**

თარიღი:**20/09/2022**

ჩოხატაურის მუნიპალიტეტის გენდერული თანასწორების საბჭოს

სხდომის ოქმი N3

დ. ჩოხატაური

18.08.2022 წ.

სხდომის თავმდომარე: ზაალ მამალაძე

სხდომის მდივანი: მარიტა მგალობლიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: ზაალ მამალაძე, მარიტა მგალობლიშვილი, მაია გიორგაძე, ნინო კაპანაძე, ლაშა თოლორდავა, ჯუმბერ ბერძენიშვილი, ქეთევან სიხარულიძე, ლაშა ირემაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: ნანა ცინცაძე, მარინე ბერაძე, ნინო რამიშვილი, მარინე თავაძე, სოფო ჯინჭარაძე, მანანა მინდაძე, თეა მამალაძე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით :

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ფოკუს ჯგუფებთან კველევის ჩატარების თემატიკასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა საბჭოს თავმჯდომარემ და განმარტა: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო თანამშრომლობს ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტთან (NDI). ორგანიზაციის დახმარებით გადამზადდა ორი ადგილობრივი მოდერატორი, რომლებმაც უნდა ჩაატარონ კვლევა ფოკუს ჯგუფებთან. საბჭომ უნდა შეარჩიოს არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე კვლევის თემატიკა. გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ თქვენი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა ნინო კაპანაძემ და აღნიშნა, ძალიან ხშირია მომართვიანობა და დაფიქსირებული პრობლემაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დედების გამოწვევები, გთავაზობთ ამ მიმართულებით ჩატარდეს კვლევა.

მოსაზრებას ეთანხმება მარიტა მგალობლიშვილი, რომელმაც აღნიშნა: მუნიციპალურ პროგრამებში შშმ პირთა მშობლებისთვის რამე ცალკე საჭიროებას მორგებული კონკრეტული პროგრამა არ არსებობს და შესაძლებელია ამ მიმართულებით მუშაობა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი წინადადება:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დედების საჭიროებათა კვლევა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი -0

თავი შეიკავა -0

სხდომას ესწრებოდა -8

საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ჩატარდეს სამიზნე ფოკუს ჯგუფებთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დედების საჭიროებათა კვლევა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
გენდერული თანასწორობის საბჭო-საბჭოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი